კვირა, 31 მაისი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

„Sic transit gloria mundi". (ესრედ წარმავალია ამ ქვეყნიური დიდება).

გულშემატკივარმა ქალაქის გამგეობამ უშოვა მოქალაქეთ ათ-ათი გირვანქა შაქარი და გაუმართა ვაჭრობა.

როგორ გავითქვი სახელი ვაჟა-ფშაველას საღამოზე*)

1915 წელს, მაისის პირველ რიცხვებში, „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებამ“ მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო ივავ მაისის 23-სათვის განზრახულ საღამოში, რომელიც პოეტის ვაჟა-ფშაველას პატივსაცემათ იმართებოდა.

იმ დროს მე იუმორისტულ ჟურნალში ვთანავშრომლობდი, პატარ-პატარა სახუმარო ლექსებსა და ფელეტონებს ვწერდი და ვაჟა-ფშაველას საღამოსთვისაც სახუმარო ესკიზი დავამზადე.

ესკიზს სათაურათ დავარქვი: „როგორ გავითქვი სახელი ვაჟა ფშაველას საღამოზე“—და შევუღლექი ზეპირად სწავლას, რათა ზეპირად თქმით უკეთესი შთაბეჭდილება მომეხდინა დამსწრეებზე.

მოახლოვდა 23 მაისიც, რომელიც იმ წელიწადს შაფათ დღეს ხვდებოდა. ჩემი ესკიზი ზეპირად ვიცოდი კიდეც და გულდამშვიდებული ვიყავ. მაგრამ სრულიად მოულოდნელათ ისეთი რამ მოხდა, რომ ყველა ჩემი განზრახვები უეცრად ჩაიშალა და ცხოვრების გზაც კი ერთი ხელის დაკვრით შემაცვლევინა.

სწორეთ კვირა საღამოს, ე. ი. 17 მაისს ვიყიდე გაზ. „Зак. Рѣчь“-ის მომავალ ოთხშაბათის ნომერი. (მაშინ „Зак. Рѣчь“-ი 3 დღით ადრე გამოდიოდა ხოლმე, რადგან ამ გაზეთის თანამშრომელნი ყველა მოვლენებსა და საზოგადოებრივ ცხოვრების ამბებს რაღაც მანქანებით სამი დღით ადრე ტყობილობდენ, ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა); გაზეთის პირველ გვერდზედვე თვალი შეეასწარი ვაჟა-ფშაველას საღამოს განცხადებას. განცხადებაში დაწვრილებითი პროგრამაც იყო მოთავსებული და კითხვა დავწყე: „1) Слова и рѣчи: Гр. Робакидзе и Іос. Мачаваріани. 2) Музыка и пѣніе: Ив. Сараджевъ. Г-жа Шаверзова, Тагуна и хоръ Кавсадзе“.

ჩემი სახელი სამუსიკო განყოფილებაში იყო მოხსენებული!

გამიკვირდა, მაგრამ გაკვირვება განცვიფრებათ შემეცვალა, როდესაც გაზეთის ქრონიკაშიაც იგივე წავიკითხე: 2) Музыка и пѣніе: И. Сараджевъ, Г-жа Шаверзова, Тагуна и хоръ Кавсадзе“.

მუსიკა და მე!

*) წაიკითხა ავტორმა ვაჟა-ფშაველას საღამოზე.

არ ვიცი, რა გრძნობა განიცადეს ვანო სარაჯიშვილმა და ქ-ნ შავერზიშვილმა ჩემი სახელი რომ თავიანთის გვერდით წაიკითხეს: არტისტების ბუნება შურიანია და მათი გულიც, ალბათ, ახალ მოვლენილ კონკურენტის შურით აივსო.

ეს კი ვიცი, რომ ძე გაზეთი ხელში გამივარდა და კინაღამ გული შემიღონდა.

განა ამაზე მეტი უბედურება კიდევ შეიძლებოდა?

თითქმის ერთ თვეს ვემზადებოდი: ჯერ დავსწერე, შემდეგ გავიზეპირე ჩემი ესკიზი, სახელის მოხვეჭას ვაპირებდი და უცებ?... უცებ გამოირკვა, რომ თაგუნამ ან უნდა დაუკრას, ან უნდა იმღეროს რამე.

ჯერ სასოება წამერთვა, იმედი გადავიწყვიტე და მინდოდა ჩემი მონაწილეობის უარი შემეთვალა საღამოს გამმართველებისათვის, მაგრამ მერე, საქმეს რო ჩაუფიქრდი სხვაგვარათ გავსაჯე:

— ათი წელიწადია, რაც სახუმარო ფელეტონებსა და ლექსებს ვსწერ—ვფიქრობდი მე, ათი წელიწადია წელებზე ფეხს ვიდგამ სახელის მოსახვეჭად და ვერაფერს გავმხდარვარ. სჩანს ან მე არ ვარგებულვარ იუმორისტათ, ან კიდევ იუმორი არ ვარგებულა სახელის მოსახვეჭათ. ვინ იცის, იქნებ „ზაკ. რეჩის“ ბაგეთა მიერ თვით განგება მიმიწოდებს დიდებისაკენ! მაშ მოდი მოვიქცე ისე, როგორც ჰსურს ზეცას, და არა მე!

ასეც მოვიქეცი.

უპირველეს ყოვლისა ობილისში განთქმულ გალობის მასწავლებელთან გავეშურე.

— რა გნებავთ? — მკითხა მაესტრომ.

— გალობის სწავლა.

პიანოს მიუჯდა, აკკორდი დაუკრა და მითხრა:

— აბა ეს ხმა სთქვით!

ვსთქვი.

— ორი ნოტით მაღლა მოგვიდათ!

— ეგ კარგია თუ ცუდი?—ვკითხე მე.

— რა?

— ორი ნოტით მაღლა რომ მომივიდა!

— სმენა არა გქვთ,—მიპასუხა მასწავლებელმა.

— მაშ, შაბათისთვის ვერ მომამზადებთ?

— როგორ თუ შაბათისთვის?

— შაბათს საკონცერტო განყოფილებაში ვმონაწილეობ.

პროფესორმა გადიხარხარა.

— რა გაცინებთ?—ვკითხე მე.

— თქვენ იუმორისტი ბრძანდებით?

— მერე თქვენ რა იცით? ჩემი თხზულებები წაგიკითხავთ?

მასწავლებელმა გაკვირვებით შემომხედა.

— თქვენი თხზულებები?.. თქვენი თხზულებები არ წამიკითხავს, მაგრამ ლაპარაკში შეგატყვეთ იუმორისტობა.

საკვირველი ის იყო, რომ ამან სერიოზულ ლაპარაკში შემნიშნა იუმორისტული ნიჭი, როცა სხვები ჩემს იუმორისტულ ნაწერებშიაც ვერ ხედავენ იუმორს.

— მაშ შაბათისთვის ვერ მომამზადებთ?

მასწავლებელი უცებ ჭარხალივით გაწითლდა და ზეზე წამოვარდა:

— თქვენ ან გიჟი ხართ, ვინცა ხართ, ან კიდევ სასაცილოთ მიგდებთ! — დამიყვირა მან საშინელის ხმით.

წამოვედი. მის სიტყვებს, რა თქმა უნდა, ყურადღებაც არ მივაქციე. განა არ ვიცოდი, რომ შალიაპინი ხოროში არ მიიღეს ხმის უვარგისობის გამო?..

ერთი ჩემი მეგობრის დახმარებით, რომელმაც უთვალავი რომანსები იცოდა და გიტარასაც კარგათ უკრავდა, ჩინებულათ შევისწავლე „გენაცვალე" და კიდევ ორი სხვა რომანსი biz-ისათვის.

შაბათს, დანიშნულ საათზე, სახაზინო თეატრის კულისებში გავჩნდი.

ძალიან მხნეთ ვიყავ, ვიდრე სცენაზე გასვლის დრო მოაწევდა, მაგრამ, დადგა თუ არა ჩემი ჯერი, მუხლებში რაღაც სისუსტე ვიგრძენი, თვალთ დამიბნელდა და გული ამიცახცახდა; ხელებიც ისე მიკანკალებდა, რომ ხელთათმანის ჩაცმა ვერას გზით ვერ მოვახერხე და სწორეთ იმ წუთში, როდესაც ნოტის დახვეული ქაღალდი ავიღე და სცენისაკენ ნაბიჯი გადავდგი, რაღაცამ თითქო თავში ჩამკრა და იქვე ჩამკეცა. გონს რომ მოვედი საპირფარეშოში ვიწექი, გარს ვიღაც შავჩოხიანები უცნობები შეხვევნენ, მგონი კავსაძის ხოროს მომღერლები იყვნენ, და წყალს მაპკურებდნენ...

შერცხვენილი წავედი შინ, მაგრამ რაც მე სამარეთ მივიჩნიე, ჩემი ნიჭის აკვანი გახდა.

მესამე დღეს ჟურნალი „სცენა და სინამდვილე" ჩემ შესახებ სწერდა:

„სამწუხაროთ ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ბ. თაგუნა უეცრივ ავათ გახდა და ვერ დაატკბო დამსწრე საზოგადოება თავის ნარნარი ხმით (ლირიული ტენორია). ჩვენ არა ერთხელ გვსმენია მისი წარმტაცი, ზეაღმაფრენი და მომხიბლავი სიმღერა. ბუნებას დიდი ნიჭი ჩაუნერგავს ამ ახალგაზრდა მომღერლისათვის, ფასდაუდებელი განძი დაუმარხავს მასში. ღმერთმა ქნას, რომ სავსებით გამოიჩინოს ზეგარდმო მონიჭებული საუნჯე და დაებრუნებინოს მშობელ ხალხისათვის ის, რაც ხალხისგან მიიღო ე. ი. მისი გენია...

გაზ. „საერო გუშაგი"-ს რეცენზიაში ჩემ შესახებ ეწერა:

„...ჩვენ მოუთმენლათ ველოდით ბ. თაგუნას გამოსვლას. მის ხავერდოვან ბარიტონის დიდი ქება გაგვიგონია და მით უფრო სამწუხარო იყო არტისტის მოულოდნელი ავათმყოფობა, რამაც საზოგადოებას ერთი საუკეთესო ნომერთაგანი წაართვა. მაგრამ არა უშავს რა! მომავალი ხომ მაინც მისია და ჩვენს საზოგადოებას არა ერთხელ მიეცემა შემთხვევა ბ. თაგუნას სიმღერის მოსმენისა".

ორი თვის შემდეგ 4 კერძო და 3 საზოგადოებრივი სტიპენდია დამინიშნეს და რუსეთში გავემგზავრე. შემდეგი წლის განმავლობაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩემს შესახებ. სხვათა შორის, ერთ გაზეთში, ჩემთვის უცნობ სტუდენტს მოჰყავდა ცნობილი ისტორიკოსის და სოციოლოგის პროფესორ კოვალევსკის აზრი, რომელიც სიტყვა-სიტყვით მახსოვს: „რომც არ გვცნობოდა საქართველოს და მისი წარსული კულტურული ცხოვრების მრავალსახეობა და სიდიადე, საკმაო იყო გავეცნობოდით ყოვლად ნიჭიერ ჭაბუკს ბ. თაგუნას, ამ ჩინებულ ქართველ ახალგაზრდას, რომ გადაჭრით მეთქვა: იმ ერს, რომელსაც ასეთი ახალგაზრდა თაობა ჰყავს, დიდებული მერმისი მოელის".

ამ ჟამათ მე მთელი საქართველო მიცნობს, ყველანი დიდ იმედებს ამყარებენ ჩემზე და ჩემს ყოფაში მხოლოდ რამდენიმე, ჩემგვარი ახალგაზრდა მეგულვება: გამოჩენილი ქართველი მხატვარი მოსე ტოლოსვარიაშვილი, რომელსაც ჯერ, თუმცა არც ერთი სურათი არ დაუხატავს, მაგრამ მაინც დიდი ნიჭი ეტყობა, ცნობილი ქართველი მექიანურე შაქრო სიმწყვეტიაშვილი და ქართველი ავიატორი ანდრო ახნეტავიშვილი, ახალი სისტემის საფრენი მანქანა რომ მოიგონა.

ასე გავითქვი სახელი ვაჟაფშაველას პატივსაცემათ გამართულ სალიტერატურო საღამოზე 1915 წელს 23 მაისს.

თაგუნა.



ჩვენი დროის მორბელაძენი

კრებამდე.

— იმე, გაგიგონიათ ბატონებო? ხომ თავი მოგვეჭრა ისტორიაში? ბთელი ბილეთის ხალხი იქ არის მოყრილი, გამოდი შენ და ილაპარაკე:— ქართველები მშიერ-მწყურვალნი არიან, ქართველ ხალხს ხინკი გამოელია და შიმშ-ლისაგან განსაცდელი მოელის, ქართველი ხალხი მოწყალებას თხოულობს, მათხოვრათ გამოდის... არა, არა, ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ ჩვენი ხალხის გასაჭირს საქვეყნოთ არ გამოვიტანთ, ქართველ ხალხს მეზობლების სასაცილოთ ვერ გავხდით.

ასე დაათავა თავისი აღგზნებული სიტყვა თავადმა კიტა მორბელაძემ, როცა გაიგო: კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდის წევრებს გადაუწყვეტიათ შეკითხვა შეიტანონ ქუთაისის გუბერნიაში შიმშილობის შესახებაო.

— ეს იქნებოდა ღალატი საქართველოს ღირსებისა, დასძინა ბათომის მოურავმა ივანე ზაქარიას ძე მორბელაძემ.

— აგი ჩვენი თავმოყვარეობის იგი იქნებოდა, დაურთო ქუთაისის მოურავის მოადგილემ პაშა მორბელაძემ.

— ქართველ ერს ჩვენ ვერ ვამათხოვრებთ, კვერი დაუკრა ფოთის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა გალაქტიონ მორბელაძემ.

და გადასწყვიტეს ხელი შეუშალონ იმ ბოროტმოქმედთა, რომელთაც განეზრახა ქართველთა დამშევაზე ლაპარაკი.

კრებაზე.

მიუხედავათ მორბელაძეთა წინააღმდეგობისა, კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდზე მაინც აღიძრა საკითხი: ქუთაისის გუბერნიაში შიმშილობის შესახებ.

— ბატონებო! აქ ვიღაც არამკითხე ჭირისუფალნი ქართველი ხალხისა, ჩვეულებისამებრ ცილს სწამებენ ჩვენს სამშობლოს. ამბობენ თითქოს ქართველი ხალხი დამშეული იყოს და ლუკმა პურისათვის ხელგამოწვდილი დადიოდეს. ტყუილია, გულშემზარავი ტყუილია, ბატონებო, ჩვენდა შესარცხვენათ მტერთაგან შეთხზული და აქ თქვენს წინაშე საჯაროთ გამოტანილი. ჩამობრძანდით ბატონებო, ქუთაისში პაშა მორბელაძის ოჯახში და თქვენის თვალით დარწმუნდებით, თუ რასი პატრონია იგი, რა ზღვა ქონება და დოვლათი ინახება მარტო ამ ერთ ოჯახში. მას შეუძლია შვიდი გუბერნია გამოჰკვებოს შვიდი წლის განმავლობაში, არა თუ ერთა პატარა კუთხის ხალხი, რომელიც თავის თავადაც სრული კმაყოფილია ჭირნახულისა და ჯანმრთელობის მხრივ. ჩვენ აღშფოთებულნი ამ საღზაპრო ცილისწამებით ზიზღს ვუცხადებთ არამკითხე ჭირისუფალთ და ვეტყვით:

„თვით ოხერო მუვლელო
როგორ გინდა მომიარო,
თვით ოხერო მოუვლელო
როგორ გინდა მომიარო“ (სამგზის).

საერთო ტაშის გრიალმა დააგვირგვინა კიტა მორბელაძის (ერის კაცობაში კიტა აბაშიძე) გრძნობით აღსავსე სიტყვა.

— ბატონებო, მე ფოთის ქალაქი მაბარია, დაიწყო გალაქტიონ აბესალომის ძე მორბელაძემ (ერის კაცობაში ტყემალაძე) და ჩინებულათ ვიცი სამეგრელოს ვითარება. ვერ გამიგია ბატონებო, საიდან მოიგონეს სამეგრელოს დამშევა! თითოეული მეგრელი გლეხი ყიდის წლიურათ არა ნაკლებ ოცი-ოცდა ხუთი ათასი ფუთი სიმინდისა. გარდა ამისა, როგორც წინდახედული მეურნე, ის ყოველთვის ინახავს მოულოდნელი შემთხვევისათვის ორი სამი წლის საყოფ სარჩოს და ნუთუ ყველა ეს ასე უცებ გამოელეოდა. მაგრამ ცხადია ჩვენს მტრებს სძინავთ და აი, აქ, საჯაროთ, გამოაქვთ აშკარა ჭორი, რომ სახელი გაუტეხონ ქართველ ხალხს. არა. ბატონებო, ქართველი გლეხი ყველაფრით კმაყოფილია და მზათ არის სხვებს დაეხმაროს.

საერთო მოწონება გამოიწვია გალაქტიონ მორბელაძის სიტყვამ.

ანონაში.

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებამ მაინც დაადგინა: „აღიძრას შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ“.

ძმები მორბელაძეები კრების შემდეგ არტისტიული თეატრის დარბაზიდან პირდაპირ „ანონას“ რესტორანში ჩავიდენ.

— ბოშო, მოიტა ულუფათა სია?—გასძახა კიტა მორბელაძემ მსახურს.

— ინებეთ ბატონო.

— შენ სადაური ხარ? ჰკითხა კიტა მორბელაძემ.

— მეგრელი, ბატონო?

— გშია?

— რისთვის მეკითხებით, ბატონო, რა მომაშივებს?

— კარგი, კარგი!.. მომიტანე მე პირველი ულუფა ჩიხირთმა ქათმის, ძლიერ მჟავე არ იყოს. მეორეთ შემაწვევინე წიწილები, ნორჩი წიწილები, გესმის?! შემდეგ მოხარშული გოჭი ხრენით, მოაყოლე არტიშოვი და კარგი მცვრიანა სუკი, ძველი არ იყოს.

— გაახლებთ, ბატონო.

— ჯერ ყველი, მწვანილეულობა და კახეთია № 6 მოარბენინე,—შენიშნა ივანე ზაქარიას ძე მორბელიძემ.

— ეხლავ ბატონო!

გაჩაღდა მშვენიერი, წმინდა ქართული სადილი. სუფრის თამადამ, პაშა მორბელაძემ, დალია სადღეგრძელო ყველა წარჩინებული ქართველის, როგორც ცოცხლების, აგრეთვე აწ განსვენებულთა და მეცამეტე ბოთლზე უკვე ჯერი მიდგა სამშობლოსი.

— ეს ღმერთმა, რომელიცა რომა, თუკი საქართველოში, ასე ვთქვათ გამოერევა, თამამათ მოეხსენების... შემთხვევითი ზომიერება, მისი ბრალია და მიზეზიც ყოფილა მოუსავლობის, მაშ გაუმარჯოს ქართველ საქართველოს უხვ ხალხს ბუნებისათვის...

— თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო,—უცებ გააწყვეტია თამადას კიტამ და თავისებური სიდინჯით დასძინა:

— რატომ უნდა იყოს დამშეული ქართველი ერი, როცა მას შეუძლია გაიკეთოს მშვენიერი ჩიხირთმა, საუცხოვო სუკის მწვადი, საოცნებო საცივი, მომხიბლავი ბეჭი და ჩახოხბილი, გრძნობის ამშლელი ხაში, ნერწყვის მომგვრელი ბოზბაში და სხვა მრავალი ამის მსგავსი?! ტყუილია, ცილსა გვწამებენ, სახელს გვიტეხენ. შორს ჩვენგან არამკითხე ჭირისუფალნო:

თვით ოხერნო, მოუვლელნო,
როგორ, გინდა მომიარო?
თვით ოხერო, მოუვლელო,
როგორ გინდა მომიარო". (სამგზის)

ეს სიტყვები უკვე აღარავის ესმოდა.

ეშმაკი.



ბრიყვი ფუნია

(ი გ ა ვ ი)

თავზე ნარმის ნახევ წაკრულს,
ტანზე ძველი ხალათითა
გლეხს მიჰქონდა გასასყიდათ
ქალაქს ლეღვი კალათითა.

—

გზაზე შ ხვდა მეზობელი
მოთავხედო, წუწკი, ყბედი,
მისი მსგავსი ქვეყანაზე
ღმერთმა ნუ ჰქნას მეასედი.

—

მეზობელი რომ იხილა,
და ლეღვი რომ დაუნახა,
ნერწყვის ყლაპვას მოუხშირა,
თანაც მგლურად შეუძახა:

—

„ე კალათი ძირს ჩამოდგი,
უნდა ვნახო ლეღვის გემო,
თორემ, მამის მზეს ვიფიცავ,
დაგიჭერ და აქვე გცემო!"

—

— „ცემას რაღას მემართლები!
(მოკრძალებით ეტყვის გლეხი)
ფასი მომე, ჰა, ეს ლეღვიც,
დაჯექი და გამოძეხი".

—

—„რა ფასიო! რის ფასიო!
რაებს როშავ? რაებს სჩმახავ?
დიდგულობით აბა ჩემგან
რას მოიგებ დავინახავ!".

—

მიიწია... მაგამ გლეხმა
მისი წესი რომ იცოდა,
ამოიღო ორი ლეღვი
და მეზობელს მიაწოდა.

—

—„რა ორიო! რის ორიო!
(აუხირდა მეზობელი)
აქ მოიტა მთლად კალათი!"
(მიიწია... სტაცა ხელი!)

—

აქ გლეხს გული მოუვიდა,
თავი აღარ შეირცხვინა:
ამოჭარიბა ლეღვები და
მტერს თავ-პირში წაუშინა.

—

ზოგი შუბლში მიანარცხა,
ზოგი წვერში მიაგლისა,
რა არსება დაინახა
მეზობელის ტყავში მგლისა.

—

და რომ სრულათ ამოსცალა
ის კალათი, ის ჭურჭელი,
იქ დაადგო, სადაც იდგა
რეტ დასხმული მეზობელი.

—

მაგრამ წუწკი რის წუწკია!
უნამუსო, უმაძღარი...
კვლავ კალათში ლეღვისათვის
ხელსა ჰყოფდა საზიზღარი!

—

ნახა ერთად ერთი ლეღვი,
ისიც ბსკერზე დაწნეხილი,
აილო და გადასანსლა,
როგორც სანატრელი ხილი!

—

ეს რომ გლეხმა დაინახა,
გაუკვირდა, გაეცინა:
„ორს წუნობდა, ერთს დასჯერდა
და თავიც კე შეირცხვინა!

—

სჩანს, სიხარბე და სიწუწკე
არის მეტად ძნელი სენი:
ბევრის მდომი ხშირად მცირეს
გულს აჯერებს შენარცხვენი!".

ონისიმე.

„სამხედრო მიმომხილველი".

— „რა ჯანდაბა დავსწერო ხვალისათვის რომ არ ვიცი?

ოჰ, წყეულიმც იყოს უკუნითი-უკუნისამდე ვინც პირველათ ეს რაღაც საჯანდაბე „ომის მიმოხილვის" წერვა შემოიღო!

ოჰ, ღმერთი გამიწყრეს თუ ხუთ-მოქმედებიანი დრამის შეთხზვა არ მერჩიოს ამ რაღაც ეშმაკეულ „ომის მიმოხილვის" წერას, მაგრამ... რას გავაწყობ მე უბედური! „დრონი მეფობენ და არა მეფენიო", ამბობს ბრძნული თქმულება და ეს სრულიად უტყუარი ჭეშმარიტებაა!

ასე გაწიწმატებული, აღელვებული და თან მწარი ნაღვლიანის კილოთი ელაპარაკებოდა თავის თავს ახალგაზრდა, მაგრამ ჯერ კიდევ ქაღარა ნარევი, ცნობილი, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობი, გამოჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ უჩინარი სტრატეგი —ომის მიმომხილველი. ის გამალებული დარბოდა საკმაოთ განიერ ოთახის კუთხიდან კუთხეში და თან ძალზე იგრეხდა თავის მოგრძო ულვაშებს, თითქოს სურს მთელი თვისი ჯავრი მათზე იყაროსო. მისი ოთახის კედლები სულ მეომარ სახელმწიფოების რუქებით იყო მოფენილი, თვითეულ რუქაზე ბრძოლის ხაზი მწკრივათ დანასობ ქინძისთავებით იყო აღნიშნული, ასე რომ ქინძისთავთა მწკრივები შორიდან ტრიალს მინდორზე მოვარჯიშე მეომართა რაზმს მოაგონებდი ადამიანს. მიმომხილველი ხან ერთ რუქასთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან, წამს შედგებოდა, დააცქერდებოდა, რაღაც ადგილს დაუწყებდა ძებნას, შემდეგ შუბლზე თითის მიდებით ოდნავ ჩაფიქრდებოდა, თითქოს ეს არის რაღაც მოაგონდაო. დიდხანს დაძრწოდა ასე ის კუთხიდან კუთხეში და ბოლოს დაღლილობაც კი იგრძნო; მიუახლოვდა იქვე სამწერლო მაგიდას და ჩამოჯდა მის ახლო. სამწერლო მაგიდა სულ ახალი მოსულ დეპეშების ფურცლებით იყო უთავბოლოთ დაფენილი. მან ერთხელ კიდევ აილო ხელში დეპეშები, ერთხელ კიდევ გადაათვალიერა, მაგრამ კითხვის დროს სახე შესაბრალისათ დაეღრიჯა, ბაგე აუცახცახდა, დეპეშები ხელიდან გაუშვა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! როგორ ამირია დავთარი ამ წყეულმა გერმანელებმა. თვით ეშმაკიც კი ვერ გაიგებს მათ მოქმედების მიზანს და მისწრაფებას! როგორ ცელქ ბავშვივით შემოიჭრებიან ხოლმე ხან ერთის მხრიდან, ხან მეორედან, ხან მესამედან. ვერ გამიგია ღმერთმახი სერიოზულ ომს აწარმოებენ თუ თამაშობენ! რა უნდათ, რა სწადიათ? დაიწყებენ თუ არა მოულოდნელ ადგილას უეცრად შემოტევას, ვიფიქრებ ეს დემონსტრაციაა მეთქი, მაგრამ გავა ცოტა ხანი და ჩემი წინასწარმეტყველება ტყვილი გამოდგება, შემდეგ უკან ვიბრუნებ ჩემს სიტყვებს და დემონსტრაციას სერიოზულ ოპერაციათ გამოვაცხადებ, მაგრამ ბოლოს ესეც გამიცრუვდება! მაშ რა დავსწერო, რა?!

ბოლოს დამშვიდდა, მაგიდას გვერდით მიუჯდა, და რაღაც უმიზნოთ ჩაფიქრდა. დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში და ვინ იცის როდის გამოერკვეოდა, რომ კარებთან ამტყდარ ნელ ფხაჭუნს და ნაზ კნავილს არ დაერღვია მისი ფიქრები. ის უეცრათ წამოდგა და გაალო კარები და ოთახში შემოძვრა თოვლივით თეთრი ციცუნია. ციცუნიას დანახვამ ცოტა არ იყოს გაამხიარულა ჩვენი სტრატეგი, მან ხელში აიყვანა იგი, ბავშვივით ჩაიხუტა კისერში, მაგრამ კატა როგორღაც მის ფერებას ჩვეულებრივათ არ ღებულობდა და სულ იატაკისაკენ მიიწევდა. ამ გარემოებამ ძლიერ განაცვიფრა ჩვენი მიმომხილველი, მან გაუშვა კატა იატაკზე და თითონ კი იქვე ტახტზე წამოწვა და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს კატას. ციცუნიამ რაკი თავისუფლება იშოვნა, დაიწყო იატაკზე გორ-

ვა და თამაში. ის ხან ერთ გვერდზე გადაკოტრიალდებოდა, ხან მეორეზე. შემდეგ, რაკი იატაკზე გორვით გული იჯერა, ზეზე წამოჯდა და პირის ბანა დაიწყო. პირის ბანის გათავებისას, მან მსწრაფლ ოთხივე ფეხზე დადგა, რაღაც საზარლად თვალები დააბრიალა, კუდი ასწია ჰაერში, შეათამაშ-შემოათამაშა, შემდეგ მსწრაფლ ძირს დაუშვა და იატაკზე ისე ძლიერათ დაარტყა, რომ ტკაცანი მოადინა, თათები უცნაურათ დააბაკუნა და საჩქაროთ ოთახიდან გაქრა.

ჩვენი მიმომხილველი კი, რომელიც განცვიფრებული შეჰყურებდა კატას, უეცრად ლოგინიდან წამოიჭრა, სახეზე სიხარულის შუქი გადაეფინა, თვალებმა ვარსკვლავებივით ციმციმი დაუწყო, ლოყები ბროწეულივით აუღაჟღაჟდა:

— „ოჰ, გმადლობ, გმადლობ ციცუნიავ, ჩემო კეთილო მეგობარო! შენ გადამირჩე თვალთაგან ბინდი, შენ განმინათლე ბურუსით მოცული არე.

ეხლა მესმის, მესმის ყოველივე: კატის არაჩვეულებრივი იატაკზე თამაში და გორვა ნიშნავს მოწინააღმდეგეთა მზვერავების ერთი მეორის ბანაკის ზვერვას და თვალიერებას, პირის ბანა—მტრის მოახლოვებას, კუდის ჰაერში შეთამაშება და თვალების ბრიალი—სასტიკ ბრძოლას, ამავე კუდის იატაკზე ძლავრად დანარცხება კი—ერთ-ერთ მეომართა მხარის დამარცხებას! ო, ეხლა ყოველივე მესმის, ყოველივე მესმის!“ ტაშის ცემიდ დაამოლოვა მან და მიუჯდა სამწერლო მაგიდას. ხელახლა გადაათვალიერა დეპეშები და ჰოი საკვირველებავ, სულ ერთი საათის წინ გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული ცნობები, ეხლა სრულიად ნათელი, სრულიად გასაგები იყო მისთვის. გაათავა თუ არა დეპეშების გადათვალიერება, აიღო ხელში კალამი და გამალებით დაიწყო „ომის მიმოხილვის“ წერა. ის სწერდა ისე სწრაფათ, ისე სიჩქარით, ისე გატაცებით რომ სტატიის გათავებამდე არც კი დაუსვენია, სულიც არ მოუთქვამს, ოდნავათაც არ ჩაფიქრებულა და კალამი წამს არ შეუჩერებია.

მეორე დღეს კი ლამაზათ და მწყობრათ აწყობილი გამოეჭიმათ ერთ-ერთ ქართულ გაზეთის ფურცლებზე მისი შესანიშნავი სტატია. აი ისიც:

„ომის დღიური“.

რაც დრო გადის ომის ცეცხლი თან და თან მწვავდება, მას არც თავი უჩანს და არც ბოლო, არც ხელი და არც ფეხი; რაც დღე გადის მის ოკეანეს მუგუზლები თან-და-თან ემატება თორემ არ აკლდება. აი, მაგალითად აღმოსავლეთ ასპარეზზე, პრუსიის საზღვრებზე, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ და აგრეთვე, როგორც ჩემი ციცუნიას იატაკზე გორვა-თამაშიც ამოწმებს, ბრძოლა თან და მწვავდება. მოპირდაპირეთა მზვერავები ერთი მეორის ბანაკს ზვერავენ და ათვალიერებენ. ამას უეჭველია მტრების ერთი მეორესთან დაახლოვება მოჰყვება. ეს ისეთი აშკარაა, წარმოიდგინეთ ჩემმა კატამაც კი იგრძნო და გუშინ დილას სწორედ რვა საათზე არაჩვეულებრივ პირის ბანას მოჰყვა.—მტრების ერთი მეორესთან დაახლოვებას უეჭველია სასტიკი ბრძოლა მოჰყვება. რომ ეს ასე მოხდება, ამას ჩემი კატის თვალების ბრიალი და კუდის არაჩვეულებრივი ქანება ამტკიცებს. მაგრამ მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ მომავალ სასტიკ ბრძოლაში ერთ-ერთი მეომარი მხარე უეჭველად დამარცხდება, ვინაიდან ჩემმა კატამ კუდი იატაკზე ისე ძლიერათ დაანარცხა, რომ ეს უეჭველად ერთ-ერთ მებრძოლ მხარის დამარცხების მომასწავებელია, ხოლო—სახელდობრ, თუ რომელი მხარე დამარცხდება, ამის შესახებ არც ჩემ კატას და არც მის კუდს, ჯერ-ჯერობით ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ცოტა რაჰ ვიწინასწარმეტყველოთ ამის შესახებ: ჩემი ღრმა დაკვირვებით და მოვლენების გათვლისწინებით თუ რუსებმა გაიმარჯვა, მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გერმანელები დამარცხდება და თუ გერმანელებმა გაიმარჯა, მაშინ შესაძლებელია რუსეთი დამარცხდეს, ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი გვიჩვენებს.

არც კარპატებშია მაინცა და მაინც დიდი მშვიდობიანობა, იქაც მწვავდები ომი. იქ

გერმანელებისა და ავსტრიელების ჯარმა სტრატეგიული მოსაზრებით წინ წაიწია. ერთი სიტყვით ჯერ-ჯერობით მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთ ასპარეზზე, საფრანგეთისა და ბელგიის საზღვრებზე ხდება აგერ-ეგერ კერძო შეტაკებები. ერთ ადგილას ინგლისელებმა ხაზის გასასწორებლათ უკან დაიწიეს, ხოლო გერმანელებმა ამავე ხაზის გასწორების მიზნით წინ წაიწიეს. ისე მდგომარეობა უცვლელია, მაგრამ ჩემი, საკუთარი მოსაზრებით, საქმის ვითარება ისე მიმდინარეობს, რომ უეჭველია გერმანელები ამ მოკლე ხანში დასავლეთის ასპარეზის რომელიმე მხრიდან სასტიკათ შემოუტევენ ფრანგ-ინგლისელებს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემოტევას დემონსტრატიული ხა-

სიათი ექნება, რადგანაც ამით გერმანელები რუსეთის უმთავრეს ყურადღებას ამ ასპარეზისაკენ მიიპყრობენ, ჯარის ნაწილს იქითკენ გადააყვანიებენ და თითონ კი ამავე დროს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებით დაიწყებენ მკაცრ შემოტევას რუსეთზე, მაგრამ ამ შემოტევასაც დემონსტრატიული ხასიათი ექნება, რადგანაც ამით გერმანელები ეცდებიან რუსეთის უმთავრესი ყურადღება აღმოსავლეთ პრუსიისაკენ მიაქცინონ, სამხრეთიდან ჯარის ნაწილი იქ გადმოაყვანინონ და დააბანდვინონ და თვითონ კი ამავე დროს ავსტრიელებთან ერთად გალიციაში და კარპატებში დაიწყონ ძლიერი შემოტევა, მაგრამ ჩემის აზრით ამ უკანასკნელ შემოტევასაც დემონსტრაციული ხასიათი ექნება, რადგანაც სერიოზული ოპერაცია ხანგრძლივ მზადებას და დიდ დროს თხოულობს და გერმანელები კი საამისოთ მომზადებული არ არიან! ყოველივე ამის დასამტკიცებლად შემიძლია დავიმოწმო ჩემი ძვირფასი ციცუნია და მე მგონია ასეთი ცნობილი და გავლენიან ავტორიტეტით თქვენც კმაყოფილი დარჩებით. ისე, ყოველ შემთხვევაში ომის გათავების შემდეგ გავიგებთ ალბათ თუ ვის დარჩება საბოლოო გამარჯვება, მანამდე კი ჩემ ციცუნიის კუდის ქანებაზე აშენებულ მიმოხილვებით ხშირათ გაგართობ ხოლმე, ჯერ-ჯობით კი ამ ცნობებით დაიკმაყოფილე შენი ცნობის მოყვარეობა ჩემო ძვირფასო მკითხველო!“.

ლონგინიუს პოდბიპენტა.

„Sic transit gloria mundi“. (ესრედ წარმავალია ამ ქვეყნიური დიდება).



მადლიერმა მოქალაქემ აუგო მას ძეგლი შაქრისა.

„Sic transit gloria mundi“. (ესრედ წარმავალია ამ ქვეყნიური დიდება).



მოვიდა წვიმა, მოვარდა ნიაღვარი, დაადნო შაქარი და.....

ვ ა ი - ვ უ ი.

— გამარჯობა გრიქულ, რას იტყვი საამოს?
„დილას“ თუ დაესწარ გუშინწინ საღამოს?
— დილაზე რა მინდა, თავი მომაძულა
დღეში ათი დილა სად გათენებულა.
ვაი, ვაი, ვაი.

—

—კაცო აგი კიტა, რამ გადაგვირია,
იძახის: „ქართველსო ჭამა არ სჭირია!
—რა ვუყოთ, გეთაყვა, ხომ გაგიგონია:
„მაძღარსა მშიერიც მაძღარი ჰგონია“.
ვაი, ვაი, ვაი.

—

—ომისა რა იცი, ბრძოლის ხაზის ველის..
რა დღეში ჩავცვივით, ნეტა რა მოგველის.
—დიდი და პატარა ერთმანეთსა ხოცავს,
ეტყობა რომ ჭკუა ფეხებში მიცოცავს.
ვაი, ვაი, ვაი.

—

—დავიღუპე კაცი, თავს ლაფი დამესხა
ცოლი და სიდედრი „დებათ“ გადამექცა.
—გულს ნუ გაიტეხავ, ეგ არაფერია
კაცს ბედი თავისი შუბლზე აწერია.
ვაი, ვაი, ვაი.

—

—ჩვენი დროის ქალებს ეზარებათ ბავში,
თავში კაბა უძევთ, ჭკუა კი—კაბაში!
—დღემდის არშიყობას სწევდენ ფაიტონში
ახლა, როგორც ვატყობ იწყეს ტელეფონში.
ვაი, ვიი, ვაი.

სევდიანი.

მცირე განმარტება

„ახალი მათრახის“ მე-9 ნომერში მოთავსებულია „ღია წერილი“ ჰაიდარბეგ აბაშიძისადმი, რომელიც ასე თავდება:

> იმავე „სახალხო ფურცელში“ ჩვენ ვკითხულობთ სხვა შემომწირველ ბავშვთა სახელებსაც. აი მაგალითად— პატარა გოგი. ვინ არის ეგ პატარა გოგი? ნუ თუ მას მამა არა ჰყოლია და გვარი არა აქვს? მაშ რატომ ასე ყრუთ გასწირა მან აპარელთათვის თავისი წვლილი მართალია ქრისტეს მოძღვრებაში ნათლად არის ნათლად არის ნათქვამი:—„მარცხენამან თქვენმან არა იცოდეს, რასა იქმს მარჯვენი თქვენიო“, მ გრამ ეს ალბათ ქურდობას შეეხება და არა ქველმოქმედებას. ამიტომაც პატარა გოგის საქციელში უეჭველია რაღაცა იმალება, რომელსაც გარკვევა სჭირია და მე მგონია თქვენთვის ეს საძნელო არ იყო“.

გამოირკვა, რომ „პატარა გოგი“ კარგა მოზრდილი გიორგი ყოფილა, მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ვინაიდან ერეკლე მეორესაც „პატარა კახს“ ეძახოდენ. სამწუხარო ისაა, რომ პატარა გოგის ჩვენი წერილის აზრი სრულიად უკუღმა გაუგია და უფიქრია თითქო ჩვენ მას მართლა რაღაც საეჭვო საქმეს ვწამებდით.

ამიტომ იძულებული ვარ აღვნიშნო პატარა გოგიას საყურადღებოთ, რომ ის ჩვენი ჟურნალის მკითხველათ ვერ ივარგებს, მაგრამ მისი სურვილის დასაკმაყოფილებლათ მაინც მოვახსენებ:

ჩვენში ქველმოქმედება თავის გამოსაჩენ საქმეთ გადაიქცა. ხშირია მაგალითად როცა პატარა, უსუსური ბავშვი სავსებით აწერს მაღალი ფრაზებით აპრელებულ წერილზე თავის სახელ გვარს, თითქო დიდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყოს. ამ საერთო გადაჭარბების დროს მე ამოვიკითხე „სახალხო ფურცელში“ სხვა შემომწირველთა შორის **პატარა გოგის** სახელიც. ძლიერ მესიამოვნა, რომ გამოჩნდა თუნდაც ერთი ბავშვი, რომელმაც თავის წვლილი შესწირა კეთილ საქმეს და არ მოისურვა თავისი საკუთარი გვარის გამოცხადება, არა თუ ახლო და შორეულ წინაპართა გენელოგიის გაზეთის გვერდებზე გამოჭრელება. მე მაშინ პატარა გოგი ვინმე ბავშვი მეგონა და სწორეთ ამ მიზნით დავუპირდაპირე იგი დანარჩენებს. როცა ჩემს წერილში ვამბობდი: „პატარა გოგის საქციელში უეჭველია რაღაც იმალება, რომელსაც გარკვევა ეპიერება მეთქი“, სახეში მქონდა მხოლოდ **მორცხვობა** და სხვანაირათ ყოვლად შეუძლებელია გაიგოს კაცმა იმ ღია ბარათის აზრი.

რაღა გაეწყობა. ძლიერ მეწყინა რომ პატარა გოგი—დიდი გიორგი ყოფილა. წინაღმდეგ შემთხვევაში ეს განმარტება საჭირო აღარ იქნებოდა,

ეშმაკი.

სადალაქოში არ შეხვიდე!

(იმერული სცენა).

— გამარჯობა ნიკოია!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო სიკოია!

— რაა ბოშო ეგ, ცხვირ-პირი თლა თეთრებში შეგიხვეია, „ვაენობაში“ შენც გიკრეს თავი თუ?

— რის „ვაენა“, რა „ვაენა“, კაცო თოფს რა გამასროლიებს.

— აბა რაა კაცო ეგ? შორიდან კარგათ ვერც ქე გიცანი!

— ეჰ, მოგიყვები ჩემო სიკოია ჩემს თავგადასავალს.

— აბა ჰა, აქანა დაჯექი ჩდილში.

— რაცხა ეშმაკათ, კაცო, ჩეველი ქუთეისს; საქმე მქონდა პატარა. მივიარე, მევიარე, მივისაქმე, მევისაქმე და ბოლოს მოვინდომე თმის გაკრეჭვა. ნამდვილათ ეშმაკი თუ ჩამიძვრა ჭკვაში, თვარა სხვა სულდგმული რავა ჩამადენიებდა ამ საქმეს. შევედი სადალაქოში... წამოხტა ზეზეთ ბატონი „პარეხმახტერი“... საინტერესო ყმაწვილი ქე იყო: თმა იალპუზივით ქონდა ასორსოლებული, თლად წვერ-ულვაშ გაპარსული იყო. გულმა ქე მიგრძნო: —ბიჭო, ნიკოია, გადი გარეთ აქანა კაი დღეს არ დაგაყრიან-თქვა, მარა რავარც გითხარით, უთუოდ ეშმაკს მეეკალათებინა ჩემს ტვინში, და ქე არ დავჯექი სკამზე მომვარდა ყმაწვილო, წამიჭირა წინსაფარი და გადმომაყრევია თვალის კაკლები, მერე მითხრა:—რანეირათ გნებავთ გაკრეჭვა ინგლიცკი, ნაპოლეონცკი ფასონზე, ჰადპოლკუ თუ იოჭიკითო. ვიფიქრე:—რა ენაზე მელაპარაკება აგი კაცი-თქვა? მას ქე უთხარი:—რავარც უკეთესი იყოს ისეთ გამკრიჭე თქვა. მოჰკიდა მაკატელს ხელი და ააწკიპინა... აწკიპინა მარა რავა! სულ ბღღვარი აადინა ჩემს-თავს... ამ დროს შამევიდა ვინცხა გაზეთის გამყიდავი და გაზეთი ქი არ შემოუტანა! კაცო, მეიტანა ეს გაზეთი ამ ურჯულო დალაქმა დეიკავა ერთ ხელში და დოუწყო კითხვა. მოორე ხელით ქე აწკიპინებს მაკრატელს... გამოაქანა მაკრატელი და მჩხვლიტა ყურის ძირში...—ვაი დედა-თქვა დევიყვირე ერთი... წამევიდა სისხლი თქრიალით. ბიჭო არ მოაშორა მაინც გაზეთს თვალი.. რომ მამაჭრა შუბლზე თმა დაწია ძირს მაკრატელი და ამაცალა ცხვირის თავი... შევეხვეწე:—ე, კაცო, შეხე შენ გამჩენ ღმერთს, დამანებე თავი-თქვა. აჰ, არ მოგიკვდეს ჩემი თავიო, რავა შეიძ-

ლებაო, ეგ ხომ ხელოსნობა აღარ იქნება შუა კრეჭაში რომ თავი დაგანებოვო. ვიფიქრე: წამოვხტე და ვეცე, ვაი თუ ვარესი დამმართოს მაკრატელით! – არა და რა ვქნა; მოდის სისხლი რიონივით! მკრეჭს მაინც, არ მეშვება! რომ მოატანა მოორე ყურთან მაკრატელმა და, გამეევიწე აქეთ, გამეევიწე ნელა და გადმოვცურდი სკამიდან. ბატონი „პარეხმახტერი“ კი ერთი ხელით მაკრატელს აწკიკინებს ჰაერში და მოორე ხელში გაზეთი უჭირამს და აბულბულებს ომის ამბებს... გადმოვცოცდი, გადმოვცოცდი სკამიდან, ვეცი კარებს, გავაღე და ვდურთე. ვდურთე მარა რავა ვდურთე! ჩაბალახიც იქინე მივატივე და ნაბადიც. გევიქეცი ხელათ ბალნიცაში და შევაკოჭვიე მაგრათ ცხვირ-პირი... მას აქეთ ქე დავდივარ ასთე შეკოჭვილი. არა, ჩემო სიკოია, არ გაგიწყრეს ღმერთი და სადალაქოში არ შეხვ-დე ახლანდელ ომიანობის დროს. გეიზარდოს, ბოშო ე თმა, რას გიშლის!

გუგული.

გურული სცენა

— გლახუნას გამარჯობა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, სა მირბიხარ კაცო ასე ჩქარა?

— ღორს ვეძებ იმ მგელის არჩივს, ჩავა ვინცხეს ყანაში და ამომაგდებენ წყევლით, იმ შეჩვენებულს სამი დღეია არაფერი უჭამია (წყალი ქე დალია მ..ონი სულო ცოდვილო), ვიფიქრე გამ..ეშობ ჩიხიდან, მიიარ-მეიარს, რაცხას პირს წაკრავს და ეგება გარჯილი სული გავათრევიო ყანების გაშობამდე მეთქი.

— ღორს რა უშირს ძაშია, ქე მაინც ბალახის ჭამა შეუძლია, ძაღლებმა იკითხონ თვარა, ეხლანდელ დროში ძაღლის საჭელი მჭადი კი არა, ბაღნები დაწარმალებულია ჩემსას, სამი დღეია ბალის მეტი არაფერი უჭამიენ, ისთევლე უნდა დავადგე სხვა გზას: ჩემს ტურიას დავაბამ კისერში ღვლეს და გადუძახებ გუბაზოულში, არ მინდოდა მარა რას იზამ „ვაინაა“, მჭადი იოხტურ მეთქი, მივაძახებ.

— შარშან რომ რაცხა საჯაყს ჩივოდენ, რაცხა „ანაბრაზიაო“ კაცს დააძინებენო, მერე კიდევ სამი თვის შემდეგ გეიღვიძებსო, მგონი ერთ წელიწადსაც შეიძლება ძილიო, ნეტე წროულს რეიზა არაკაცი ჩივა მაგაზე აფერს! მაგი რომ იქნებოდეს პირდაპირ. დავაძინებ ქალს, ბაღანას, ძროხას, ხფოს, ბატს, ინდაურს, ჭუჭულს, მოქვას, ქათამს, მე ქე შევინახავ თავს რეცხეით. იქნება მევიწევ სარჩოს და მერე ქე გავაღვიძებ ისთევლე.

— მალ მალე იარე ონისიმე ჩემო დუქანზე, ეგება გეიგო მაგის თაობაზე რამე ბილორტიკაში გაზეთის კითხვაზე ყური დოუგდე.

— გაზეთში ძაშია ეხლა სულ „ვაინა“ და „ვაინაა“, ჩვენ არაკაცს არ ვახსოვართ, მაინც რაცხა გერმანე ყოფილა, ღმერთმა ნუ ქნას იმისთანე თურმე; გადაგაფრინდება თავზე ჩიტივით, გადაგავლებს თაკარას და დუღარეს, გაგიჩენს ცეხლს, მისი ზარბაზანი თურმე ოც ცხენს ძულე მიაქ, აწი არ იკითხავ „ამისიშორეზე მივა თურმე იმის ტყვია, ათასი ქცევა აფერია თურმე, ასთე რომე ოზურგეთიდან (ღმერთმა ნუ ქნას იგი დღეი), ზე მიარტყას სურებლებს 10,000 მანეთიან ყუმბარას, ფული არ გეგონოს შით ჩაყრილი 10000 მანეთი თურმე იმის გატენა ჯდება, ასე რომ სასკვინჩეთ გამოგვადგება.

— ქე დაღუპულა აბა საქმე.

— სუ, ივანიკე იძახის ღორია ყანაშიო, იგია ბიჭო გონია შენი ღორი!

— ძაან არ გამძღარა, კიდომ გეიტანს ერთ კვირეს ერთი გემოზე გაძღომა.

ყალთამანი.

ფოთიდან

უმუშევარის სიზმარი.

(გაგრძელება)

„რუსის“ არტელის ბუჰგალტერია,
ქითაბ-ხანაში[1]) ასე სწერია,
(იზბაშის რეჟიმს რომ გაეცნობით
და მის „შვილებულს“ თქვენი მტერია).

თრთავემ ერთად არტელის ღმერთად
იჯარადარი გამოაცხადა...
შრომის ხელ-ფასმა იკლო თანდათან,
სამუშაო დროს იზარდა ვადა.

---

[1]) ქითაბხანა—არქივი.

გაჩნდა ადგილის ყიდვა-გაყიდვა...
საზღვარს წაასწორო „კურტანის ფასმა“
ნება-რთვისათვის ათი პროცენტი
ბაჟი დაადვა „პეტრუკის დასმა“.
მუშების რჩეულ ამ რწმუნებულში
თურმე ბუდობდა იჯარადარი,
ვინაც არტელის წეს-წყობილებას
გვერდი უქცია და უთხრა ვარი...
„ბუნტოვჩიკების“ მოსაშორებლათ
მოჰყვა იზბაშის ის ღობე-ყორეს;
ვითომც არტელის საბუღნიეროთ,
მომქმედი ჯგუფიც კი მოიშორეს.
ჯილდოთ მაშინვე ასის მაგიერ
ოთხასი მისცეს პეტრუკელასა,
ასიც იზბაშის საბლაყუჩოში[2])
„შავ ხარჯს“ ვერც მოსთვლის კაცი ყველასა,
მარა პეტრუკი ციხეში ჩასვეს
„მშრომელი ხალხის სიყვარულიზა“
და მოუვიდა უზომო ხარჯი
ამგვარ „კეთილი“ საქმის გულიზა).
ოთხი ათასი „შეიმასექნა“
„ამხანაგების“ მუშების ფარა,
ერთი თვის შრომა გაუქრა არტელს,
თავისთვის კიდევ ვერ მოიხმარა...
ეს შესძლო, რადგან იზბაშთან კავშირს
ველარ უშლიდა ციხის კარები,
(რა თავში იხლი მეკურტნე მუშებს
უფროსს თუ ასე კი ეყვარები!)
არტელის პროტესტს, ზიზღს და მუქარას
არ შეუშინდა პეტრუკის გული,
ორი ათასი კიდევ ეხლა ხან
მიისაკუთრა „ზალოგის ფული“.
სულის წაწყმენდის არ ეშინია,
ვერც რამეს აწყენს კანონის წესი,
მუშებს ატყუებს: „არ მაძლევენო“,
თუ დაუჯერებთ მით უკეთესი.
შტრეიკბეხერთა ერთი არმია
გადაეკიდა ამ არტელს ჭირათ,
იმათ ბელადებს იზბაშ-ლოლუას
თქვენ კითხულობდით გაზეთში ხშირათ.
რომელთა რიცხვში არ გულისხმობდით
რაღა თქმა უნდა პეტრუკელასა,
კაცი რომელიც „მტერს და მოყვარეს“
ათამაშებდა ხელში ყველასა.
როცა ამ კითხვას ჩაუკვირდებით
გონების თვალით, კრიტიკით, საღათ,
ბნელეთში ნახავთ მომქმედ „ტრიადას“,
გარეთ ლოლუას, მათ იარაღათ.
ეს იყო მაშინ, მარა ეხლაც ხომ
უკეთესობის არ უჩანს პირი?
ისმის მუქარა შტრეიკბეხერთა
და არტელს ელის კვლავ გასაჭირი?
საქმეც აქ არის და ყოჩაღობაც
ახალ რწმუნებულს ამაზე უნდა,
რომ არ ეწიოს „ტრიადის“ ცოდვა,
არ მოხვდეს ხალხის ქვაი და გუნდა.
„როსიის“ არტელს იმ თავიდანვე
აღარ მოსდევდა იმდენი ძალა,
იგი ყოველთვის იყო და არის
პირველის კუდი და მაჩანჩალა,
მარა როდესაც აფრასიონი
მისწვდა „ათ-თორმეტ მოციქულებსა“
როდესაც „ბრბომა“ აღარ იწამა
და უმზადებდა საშიშ წყლულებსა,
მისმა „იუდა“ ილარიონმაც
მის გაცემაზედ აღარ სთქვა ვარი
და გოლგოთაზე ჩოხატაურის
აატანინეს წამების ჯვარი.
როდესაც ობლათ შთენილ მოწაფეთ
მკვდრეთით აღდგომის არქვა ნუგეში
(თუმცა ამ ტანჯვის მას საფასური
ათასი ვერცხლი ედვა უბეში).
არტელმა მაინც ამოისუნთქა,
შექმნა მომავლის ახალი ხანა,
„ბაშიბუზუკთა“ სამაგიეროთ
მხნე ხელმძღვანელიც კი მოიყვანა.
ნახევრად მკვდარსა და მოხუც არტელს
მაცოცხლებელი ჩაედგა სული,
თუმცა ბნელეთის მოციქულებმა
კვალად აუგეს მას აღსასრული.
აიბნა ისევ არტელის საქმე
გაჩნდა „ორმაგი ბუჰგალტერია“,
მკვდარსა ნისია თამასუქებში[3])
რვაას მანათზე მეტი სწერია.
აფრასიონიც ელის აღდგომას
„მოციქულები“ ლოცულობს მაზე...
ეშმაკიც ფერავს არტილერიას
ქვაიც არ დარჩეს იქნება ქვაზე.
(გავარდა კიდეც, ვითომ სიზმარში
და გამეღვიძა ზარბაზნის ხმაზე).

უმუშევარი.

---

[2]) საბლაყუჩო—რაც არ გერგება და შეგერგება.

[3]) თამასუქი—საბუთის ქაღალდი.

ავათმყოფები

(სურათი პროვინციის ცხოვრებიდან)

საავათმყოფოს წინ ხალხი შეგროვილა და ექიმს ელოდება

პირველი გლეხი. (მიმართავს საავათმყოფოს მოსამსახურეს) დოხტური არ ბრძანდება შინ?

მოსამსახურე. კი, შინ არის, მარა ჯერე არ სცალია, ავათმყოფებს შინჯავს, იგენს, რომ გეისტუმრებს მერე თქვენ დაგიძახებს..

პირველი გლეხი. სად უნდა გეისტუმროს აწი?

მეორე გლეხი. სად უნდა გეისტუმროს და საიქიოს...

მესამე გლეხი. რად გინდა გოგია დოხტური ავათ ხომ არ ხარ?

პირველი გლეხი. კბილი მტკივა ძამია, გამიმწარა სიცოცხლე და მინდა ამუაღებიო...

მეორე გლეხი. ახლა, რომ დროია, კბილი ერთი კი არა, ყველე უნდა დეითხაროს კაცმა..

მესამე გლეხი. რაიზა კაცო?

მეორე გლეხი. ჭადი არაა და ღომი, პური დიდ ქალაქებშიაც ქე გამოილიაო და კბილები რაღად გვინდა ვითამ...

მეოთხე გლეხი. (მეორე გლეხს.) მამაშენი იყოვო ძაან ავათ, რავაა ახლა?

მეორე გლეხი. პაწე ქე მეიხედა, მგონია მორჩება მარა რად გინდა მერე, ქე მოკვდება ისევლე...

მეოთხე გლეხი. რავა აწი?

მეორე გლეხი. ოთხფეხი არ დამიტიებია გუუყიდავი და ორფეხი, ერთიორი სპილენძის კარდალე ეგდო სახლში და იგიც დრამის ფულში წეილეს და ყველა ამას რომ გეიგებს, ვითომ რაღა გაადარჩენს..

მესამე გლეხი. ჭამის მადაზე არაა მოსული?

მეორე გლეხი. ჭამის მადა კი აქ საჭმელი არ ააქ თვარა. (გამოდის ფერშალი.)

მეოთხე გლეხი. არიქა გოგია! ფერშალი გამევიდა... მიაშურე... კბილის პირველი ოსტატია..

მეორე გლეხი. კაი მოუვა მაგის ცხვირს... მაგი არიყო საწყალ ძაღუნას, რომ მოსდუა მარწუხი, მოქაჩა რაც ძალა და ღონე ჰქონდა ზე მიამტვრია ყბაის ძვალი?

ფერშალი. აბა, ვინც ხართ ავათ, ამოდით ზევით, ჩაგწერთ სუყველას...

მეორე გლეხი. რაღას უყურებთ კაცო! მოდით ვისაც მოგძულებიათ თავი...

ფერშალი. შენ, რატომ აღარ ამოდიხარ, რომ კამანდრობ მანდა?

მეორე გლეხი. მე ბატონო ღვთის წყალობით აფერი არ მტკივა ჯერე..

ფერშალი. აბა რა გინდა აქ?

მეორე გლეხი. ბაბე მყავს საიქიოს გასამგზავრებელი და დოხტური მინდა წავიყვანო...

რ. ჯიბილ.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ლანჩხუთისათვის)

უწინ „სოციალისტობდა"
ტერორისტიც იყო თანა,
(ნამდვილათ კი, ავაზაკი
არც ნახულა ამისთანა).

ბოლოს კანონს დამორჩილდა,
სამსახურში შედგა ფეხი
და უწინდელ „აბხანიკებს"
შეუბრუნა განზე „კეხი".

იქნებ ფიქრობთ მას უყვარდეს
კანონი და სამართალი?
(ვისი ხელი იცავს კანონს
ჩქიმი ცოდვა ჩქიმი ბრალი).

მხოლოდ მუდამ ქრთამებისკენ
იცქირება მისი თვალი,
მისი მრწამსი სახრავია:
ტაბუხი და სავარჯვალი*)

უფროსსაც რო აღარ ინდობს
ეგ ეშმაკი, არამზადა?!
ათამაშებს, თითქოს თავის
მაიმუნათ გაიხადა?!

ხალხს სძარცვავს და იმონავებს,
ყაჩაღებთან სძინავს ხშირათ;
ერთს მეორეს აკვლევინებს,
კაცის სიკვდილს აგდებს ჩირათ.

ავაზაკთა კლუბი გახსნა,
ღელეს გაღმა, შარის პირათ...
ამას წინ რომ კაცი მოჰკლეს
რა მიართვეს ნეტავ ქირათ?

მარა კმარა, გამოიცნობთ
სულ მდაბალს და გრძნობით მჩატეს,
(მალე დასჯის თავის ცოდვა
ამისთანა მოღალატეს).

ბურცევი.

---

*) ტაბუხი და სავარჯვალი—უდიდესი ძვლები პირუტყვის, რომელსაც ნადირები ირჩევენ სახრავად.

დეპეშები.

ქუთაისი. ტყემლის ფასმა საშინლათ აიწია. მიზეზათ დარდანელის დაკეტვას ასახელებენ.

ლანჩხუთი. ორი ვაგონი პურის ფქვილი მივიღეთ. აწე სიკვდილი თამამად შეიძლება, ვინაიდან ტირილზე პური იშოვება.

სილნაღი. მომხმარებელ საზოგადოება „მეგობრობამ“ ხუთი ენერგიული იერიში მოიგერია ადგილობრივ ვაჭართა რაზმისა. ეკანასკნელად ვაჭრებმა „სულშემხუთავი გაზიც“ იხმარეს, მაგრამ ამაოდ.

ოზურგეთი. ქალაქის გამგეობამ უკვე გადასდო აგარაკ „ბახმაროსათვის“ საკმაო სანოვაგე:

1) პური $1^1/_2$ ტომარა.
2) სიმინდი 19 ოყა.
3) ბრინჯი 7 გირვანქა.
4) მაკარონი $^1/_4$ გირვანქა.*)
5) საპონი ოთხი გირვანქა.
6) შაქარი $1^1/_2$ გირვანქა.

ამბობენ ამ ცნობების შემდეგ დიდძალი ხალხი აპირებს საგარაკოთ გამგზავრებასო.

სილნაღი. ბაზრის ზედამხედველმა უკვე დააჯარიმა ორი ვაჭარი ჩვეულებრივი წესების დარღვევისა და ნიხრზე საქონლის გაყიდვისათვის.

სოფ. ძეგვი. ხმა დავარდა, ურიადნიკი ვასო ბეგრის ხალხისადმი სათნო მოპყრობისა და გზის ხელოვნურად კეთებისათვის ძეგვიდან ინგლისში გამოიწერესო. ხალხი მგლოვიარეა.

ჩოხატოური. მოულოდნელი თავდასხმის შიშით ადგილობრივი სამკითხველო კვირა უქმე დღეებზე დაკეტილია.

ქიზიყი. საანფორე მატერიის გაძვირებისა გამო, ზოგიერთა მღვდლებმა მანეთიდან 1 მან. 50 კ. ასწიეს მიცვალებულის სამარხის ფასი.

ახალ-სენაკი. სობოროს მიდამოებში ფიცხელი შეტაკება მოუხდა აგდილობრივ პოლიციას ორ ცხვარსა და ერთ ხბოსთან. ზარალი არცერთ მხარეს არ უნახავს.

თელავი. მეფქვილე გასპარა და მეთორნე-მეფურნეები დიდ სამადლო საქმეს შეუდგენ. ხალხს აქედანვე აჩვენენ ნაცარ ნარევ პურის ხმარებას, რომ თანდათანობით შეაჩვიონ წმინდა ნაცარის ხმარებას.

*) ახლა, რაკი იტალიაც ომში ჩაება, შეიძლება მაკარონი მაგდენი ვერც დაუთმონ.

შილდა. ერთმა მოძღვართაგანმა ვალად დაიდო ყოველ კვირაობით პანაშვიდი გადაუხადოს ადგილობრივ კოოპერატივს.

ენისელი. ამბობენ მამასახლისმა ჯერ დაადვა სოფელს კონტრიბუცია და შემდეგ აპატივაო.

ს. ბუკისციხე. ადგილობრივ „რეჩისტთა„ რაზმმა მედგარი იერიში მიიტანა და აიღო ორი სახარაზო დუქანი სადალაქოთურთ. როგორც გამორკვა დამცემლებმა იხმარეს ზარბაზანი „ხლუსტის“ სისტემისა.



წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ „ახალი მათრახის“ 11 №-ში დიდი-ჯიხაიშიდან „კიკოლა ბიუის“ ლექსში მოხსენებულ პირების საყურადღებოთ, რომ ზემოხსენებული ლექსის ავტორი მე არა ვარ.

ნოე დევიძე.

—

ბ. რედაქტორო!

ლიხაურიდან „ნანას“ ფსევდონიმით გამოგზავნილმა კორესპონდენციამ ააყაყანა ყველა ის პირები, ვისაც გაეკრა თქვენი „მათრახის“ წვერი. ისინი კულტურული საშვალებით თავის მართლებას, როგორიც არის სამედიატორო სასამართლო, სჩანს გაურბიან, ვინაიდან კარგათ იციან, რომ მედიატორები ბეჭედს დაარტყამენ მათ მოქმედებას. ისინი როგორც ეტყობა სიჩუმეს არჩევენ, მაგრამ სიჩუმესთან ერთად ადვილი შესაძლებელია მიმართონ ფიზიკურ ძალას. იერიში მოაქვთ ჩემზე.

ამიტომ გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოაცხადოთ ჩემი სიმართლე, რომ კორესპონდენცია ლიხაურიდან „ნანას“ ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის.

იოსებ ბეჟანის ძე გორგოშიძე.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამოწმებს, რომ აღნიშნულ წერილებთან არავითარი კავშირი არა აქვთ არც ნოე დევიძესა და არც იოსებ გორგოშიძეს.

ფოსტა

ონისიმე შენგელიას. თქვენ იწერებით:
„ათას ცხრაას თუთხმეტ წელში
ალამი ავიღე ხელშიო“.

რას იზამთ, ჭეშმარიტათ უბედური წელიწადია ეს 1915 წელი.

—

ნინა ქართველს. „ქალად რომ არ ვშობილიყავ,
ვიქნებოდი მეცა ვაჟა“.

ერთ რუსის გლეხს მეზობელი შეხვდა და ჰკითხა:

— აბა თუ მიხვდები მატრონას რა ეყოლა?
— ქალი.
— არა.
— ვაჟი.
— ეეე, შენ ალბათ იცოდიო.

—

ხოსოს. „გუშინ ვკითხე ჩემსა ხბოსა:
— რძეს რატომ სვამ ასეთ დროსა?
მაწონს შევდღვებ, კარაქს შევჭამ
შენ დაგალევინებ დოსა“.

შეიძლება კაცმა ხბოს ენაც იცოდე, მაგრამ ლექსს მაინც გლახასა სწერდე.

—

ლოქოს. „ჩემსა ამბავს თუ იკითხავთ
მე სახელად ლოქო მქვია,
წყალში მიყვარს ხტუნაობა
მდინარე და მორევშია“.

სამწუხაროთ ცხადია თქვენ ხმელეთის ლოქო ბრძანდებით, თორემ ნამდვილ ლოქოს პირი წყლით ექნება სავსე და სალაპარაკოთაც ვერ მიიცლის, არა თუ ლექსების საწერათ.

სნეულთ სპერმინი

ნებადართულია შინაგ. სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

და სუსტებს

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გჭირთ **გულს ნუ გაიტეხთ!** სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ — ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწმენდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხვდება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ჰმატებს. ექიმებმა დაადასტურეს, რომ სათესლე ძაფების გამონაჟური უებარი წამალია: სიბერით გამოწვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამპალ ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავათმყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და საოფთიაქო მაღაზიებში. ფასი — 1 ფლაკონი — 2 მან. 40 კაპ. ფასდადებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყობი პროვიზ. ახვლედიანის აფთიაქში, თფილისი, გოლოვინის პრასპექტი № 41, დასაკვეთად მიჰმართეთ მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ახობაძეს**, ტფილისი, გოლოვინის პრასპ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილები აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიათ გამოაჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახობაძესთან.

ჟურნალ „ლუკომორიედან“.

ბრძოლის საშინელება.



როგორ იღებენ „საკუთარი კორესპონდენტები“ ბრძოლის სურათს ომის ადგილიდან ასი—ორასი ვერსის მოშორებით. ამ სურათზე გამოხატულია 35 მეტრიანი გერმანული ყუმბარის აფეთქება. სანგრების ნაცვლად უბრალო სარწყავი არხია ნახმარი, ხოლო ყუმბარის აფეთქებას ცეცხლ მოკიდებული ჩალა გამოხატავს.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ აბვლედიანისა.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი 1 მ. 30 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ 1908—1909 წ.წ. თითო წიგნი 34 ნომერი 2 მ. 50 კ., ორივე წიგნი მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე